# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №16-42

## 2014 წლის 5 დეკემბერი

## ქ. თბილისი

## „ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 7 მარტის №5-5 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის საკრებულო **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ „ქ.თბილისის საკრებულოს 2014 წლის 7 მარტის №5-5 გადაწყვეტილებაში (სსმ, ვებგვერდი, 11/03/2014; სარეგისტრაციო კოდი: 190020020.36.101.016200) და „ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს 2014 წლის 7 მარტის №5-5 გადაწყვეტილებაში:

მე-12 მუხლში „კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებების“ (კოდი 2.9.1) ქვეპროგრამა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„2.9.1 კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები“**

,,დედაქალაქის საჭიროებებისა და პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია კეთილმოწყობითი ღონისძიებების განხორციელება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია; ვაზიანის ქიმიური სამარხის მოვლა-პატრონობა; შადრევან-აუზების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (ექსპლოატაცია); სამისამართო აბრების შეძენა-მონტაჟი; დახურული ნაგავსაყრელი პოლიგონების დაცვა; დედაქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა; სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა“.

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ალიბეგაშვილი**